პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მარტი, კვირა, 1985 წ.
№ 56 (8867) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი ძიუდოისტით ევროპის პირველობაზე

**„ლელოს" მკითხველმა იცის იმის შესახებ, რომ ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის ქართველმა ფალავნებმა 3 ოქროს მედალი მოიპოვეს. დღეს გთავაზობთ საუბარს საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან ანზორ მარტყოფლიშვილთან, რომელიც ესწრებოდა ამ შეჯიბრებას.**

**● რა სისტემით მოეწყო შეჯიბრება, როგორია გუნდური შედეგი?**

— ეს იყო სპორტსაზოგადოებების პირველობა, მაგრამ ამას გარდა სპორტსმენები ჩათვლას აძლევდნენ რესპუბლიკის ნაკრებსაც. საქართველოდან სხვადასხვა სპორტსაზოგადოების სახელით 14 მოჭიდავე ასპარეზობდა. ჩვენმა ბიჭებმა საბოლოოდ 31 ქულა მოაგროვეს და II ადგილი დაიკავეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციის ნაკრები, რომელმაც 3,5 ქულით გაგვასწრო, 144 ძიუდოისტით იყო დაკომპლექტებული. III ადგილი 21 ქულით მოიპოვა ყაზახეთის ნაკრებმა. საქართველოს გუნდს ყველაზე მეტი ქულა მოუტანეს დინამოელებმა (19), 8,5 ქულა მოიპოვეს განთიადელებმა. უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ შეჯიბრებას „ბურევესტნიკი", „კოლმეურნე", პროფკავშირთა საზოგადოება... მათი არც ერთი წარმომადგენელი არ ასპარეზობდა ალმა-ათაში. საკმარისი იყო, ცოტა მეტი ყურადღება გამოეჩინათ ამ საზოგადოებებს და I ადგილის აღება ნამდვილად არ გაგვიჭირდებოდა.

ავთანდილ გუბელაძე



ანზორ მარტყოფლიშვილი

**● სამი ოქროს მედალი ალბათ მაინც წარმატებაა...**

— რა თქმა უნდა. შესანიშნავად იჭიდავა ომარ მერაბიშვილის აღზრდილმა, ქუთაისელმა **ავთანდილ გუბელაძემ** — მძიმე და აბსოლუტურ კატეგორიაში მას ბადალი არ ჰყავდა. 95 კილოგრამ წონაში ჩემპიონი გახდა ხვთისო წიკლაურის მოწაფე **გელა ბერუაშვილი.** ძალიან მოეწონათ სპეციალისტებს მესტიელი **ვახტანგ ჭაფარიძე** (60 კგ, მწვრთნელი გაიოზ ჩართოლანი). ვახტანგს ნამდვილად არ გაუმართლა — „პანტერით" დამარცხდა ფინალურ შეხვედრაში და მეორე ადგილს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა დავით ჩაჩანიძის აღზრდილმა **გიორგი მუმლაძემ** (86 კგ).

ვახტანგ ჭაფარიძე

**● ქართველ მოჭიდავეებიდან ვინ მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში ევროპის პირველობაზე სასპარეზოდ?**

— ნაკრების კანდიდატთა რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ თუ რეალურ მონაწილეებზე ვიტყვით, საქმე ასეა: მწვრთნელებმა პირველ ნომრებად დაასახელეს ჩვენი სამი ძიუდოისტი — ავთანდილ გუბელაძე, გელა ბერუაშვილი და ვახტანგ ჭაფარიძე.

# მეოთხედ!

**ულან-ბატორში** ყოველწლიურად იმართება ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში მეგობრული არმიების თასზე. წლევანდელ ტურნირში სოციალისტური ქვეყნების უძლიერესი არმიელი ფალავნები მონაწილეობდნენ. წარმატებით იასპარეზა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გივი ქენქაძემ (68 კგ). მან ოთხი წინასწარი შეხვედრა წმინდად მოიგო, ფინალში კი ანგარიშით 6:0 დაამარცხა მასპინძელთა გუნდის წევრი, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბოლდნეემა და პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ქენქაძემ უკვე მეოთხედ მოიპოვა მეგობრული არმიების თასი.

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე ფრუნზელმა მიხეილ კოსტოპულომ (57 კგ) და მინსკელმა მალხაზ მერმანიშვილმა (+100). ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი, მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებს შორის ვახტანგ დოლიძე (82 კგ) V ადგილზე გავიდა.

სურათზე: გივი ქენქაძე.

# სამჭიდი, დაბრკოლებათა გადალახვა და ცხენის გაწვრთნა

**თბილისის** იპოდრომის ღია მანეჟში დამთავრდა ჭაბუკთა შორის თბილისის პირადგუნდური პირველობა ცხენოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გლდანის, ორჯონიკიძის, საბურთალოს, ოქტომბრის, პირველი მაისის, კალინინისა და საქარხნო რაიონების ჭაბუკ ცხენოსანთა ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება ჩატარდა ტერიტორიული პრინციპით, როგორც ამას ჭაბუკთა თამაშების დებულება ითვალისწინებს. სრული გუნდი (7 მხედარი) ასპარეზობაზე მხოლოდ საბურთალოს რაიონმა გამოიყვანა. შეჯიბრების პროგრამაში იყო სამჭიდი, დაბრკოლებათა გადალახვა და ცხენის გაწვრთნა.

სამჭიდში, რომელიც 10 წლის შემდეგ კვლავ შეიტანა პროგრამაში თბილისის სპორტკომიტეტმა, გაიმარჯვა საქარხნო რაიონის წარმომადგენელმა ოთარ გვაჯავამ. გუნდურ პირველობაში უძლიერესი საბურთალოს რაიონის ნაკრები იყო.

დაბრკოლებათა გადალახვაში — „ახალგაზრდული თასი" — პირად პირველობაში საუკეთესო შედეგი აჩვენა საბურთალოს რაიონის წარმომადგენელმა ზაზა გონჯილაშვილმა, გუნდური პირველი ადგილი კი აქაც საბურთალოს რაიონის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

ცხენის გაწვრთნაში გამარჯვება პირველი მაისის რაიონის წარმომადგენელს ირინა ბასისტოვას დარჩა, გუნდური შეჯიბრებაც ამ რაიონის მხედრებმა მოიგეს.

საერთო გუნდური პირველი ადგილი 409 ქულით წილად ხვდათ საბურთალოს რაიონის ცხენოსნებს, მეორე ადგილზე გავიდა პირველი მაისის (149), ხოლო მესამეზე — ორჯონიკიძის რაიონის (127) გუნდი.

**თამაზ ქიქავა.**

**სურათებზე: ზაზა გონჯილაშვილი დაბრკოლებათა გადალახვისას; ირაკლი ჭაფოძე.**

ავტორის ფოტოები.



# ნატო ლორია საუკეთესო იყო

**ამას** წინათ ესენტუკში ჩატარდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლის თავისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ პირველი ლიგის ქალთა გუნდები. მოასპარეზეთა შორის იყო თბილისის „ბურევესტნიკის" კოლექტივიც (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ილო მირიანაშვილი).

პირველი მატჩი ჩვენმა კალათბურთელებმა წააგეს (85:100) კუიბიშევის საავიაციო ინსტიტუტის ძლიერ კოლექტივთან, მაგრამ შემდგომში გამოასწორეს მდგომარეობა — დაამარცხეს ბაქოს „არაზი" (117:86), ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის (113:83) და სტავროპოლის „სპარტაკის" კალათბურთელები (90:74).

ბოლო შეხვედრა „ბურევესტნიკს" ტურნირის მასპინძლებთან — ესენტუკის სპარტაკელებთან ჰქონდათ. თბილისელებს ხელს აძლევდათ მხოლოდ გამარჯვება და ისიც არანაკლებ 26 ქულით. ამ არც თუ იოლ ამოცანას ქართველმა კალათბურთელებმა წარმატებით გაართვეს თავი, მეტოქე 34 ქულის სხვაობით (79:45) დაამარცხეს და პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ტურნირის საუკეთესო მოთამაშისათვის დაწესებული სპეციალური პრიზი თბილისის „ბურევესტნიკის" წარმომადგენელს ნატო ლორიას გადაეცა.

**ლევან კნოლეველი.**

# დაიხსომეთ ეს გვარი

## არჩილ საბედაშვილი

**დაიბადა 1965 წლის 25 აპრილს, თბილისში.**
**საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სამხედრო-სამონადირეო კავშირის წევრი.**
**სიმაღლე 179 სმ. წონა 68 კგ.**
**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი.**
**სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978 წელს.**
**მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ მაჩხანელი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლეონიდ სიმონიანი.**
**1982 წლიდან სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.**
**პირველ წარმატებას მიაღწია 1982 წელს, სსრ კავშირის ახალგაზრდულ პირველობაზე (სატრანშეო სტენდი) 100 დან 88 სამიზნე დააზიანა.**
**საუკეთესო შედეგი: 1984 წ. ოდესაში გამართულ შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობაზე სატრანშეო სტენდზე სროლაში 200 შესაძლებლიდან 196 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.**

ისე, კაცმა რომ თქვას, თავის დროზე შევცდით ეს ნიჭიერი ახალგაზრდა „ლელოს" მკითხველებს რომ ვერ გავაცანით. შეგვეძლო თუნდაც 1984 წლის სექტემბერში, როცა ოდესაში შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობაზე უცნობმა და გამოუცდელმა ახალგაზრდა მსროლელმა არჩილ საბედაშვილმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

**ცნობისათვის:** 1967 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა სატრანშეო სტენდზე სროლაში გუნდური გამარჯვება მოიპოვა. მაშინ რესპუბლიკის ნაკრების ღირსებას კარლო დარასელია (პირად პირველობაში იგი მეორე იყო), ზურაბ მაჩხანელი, თური საგანელიძე, ვილი ალავერდოვი და კოტე ქლენტი იცავდნენ. ჩვენი მესტენდურების წარმატება ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლდათ, მით უმეტეს, რომ გუნდმა საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა. მას შემდეგ მთელი 17 წელი გავიდა, ამ ხნის მანძილზე საქართველოში არც ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი არ მომზადებულა.

აი, რატომ იყო მნიშვნელოვანი 19 წლის ოსტატის შარშანდელი წარმატება. აი, რატომ ვამახვილებთ დღეს ასე საგანგებოდ ყურადღებას ამ შედეგზე.

იხ. მე-4 გვ.

ავტოპო-
რტრეტი
ფეხბურთელისაგან

# ვლადიმერ ბარქაია

**ვლადიმერ ბარქაია უნიკალური ფეხბურთელი იყო. მას, იერიშის უბადლო ორგანიზატორს, ათას სხვაში გამოარჩევდით დახვეწილზე დახვეწილი, დროული პასით, უფართოესი სამოქმედო დიაპაზონით, უბრწყინვალესი, უნაკლოდ დამუშავებული დარტყმით. იგი ნამდვილი მებრძოლი იყო, თამაშში ხილვა და იმპროვიზაცია უყვარდა, მჭრელი, მახვილი თვალი ჰქონდა, და, როგორც დღეს იტყვიან ხოლმე, მშვენიერად ხედავდა მინდორს.**

ერთი უცნაური თვისებაც ჰქონდა: გამუდმებით ვილაცას აოცებდა — პარტნიორებს, მწვრთნელს, მეტოქეებს, მაყურებელს, მსაჯს. გოლს გაიტანდა — წარმოუდგენელს; ჩაწოდებდა — პირდაპირ ფეხზე მოარგებდა ბურთს თანაგუნდელს მეტოქის დაბნეული მცველების თვალწინ. ალბათ ისიც გემახსოვრებათ, მოწინააღმდეგეთა წრეში მოქცეული რა ლამაზად დაიძვრენდა ხოლმე თავს რაღაც მხოლოდ მისთვის ცნობილი ფანდით; გარბოდა და თან ალყიდან გამოტაცებულ ბურთს არხეინად მიაგორებდა. მსაჯებიც ბევრჯერ დაუტოვებია სახტად — ისეთს ეტყოდა, ისე ეტყოდა, იმგვარად ჩაუქარავებდა, დაბნეულმა არბიტრებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ: ხუმრობად მიეღოთ ნათქვამი თუ თბილისელი ფეხბურთელი უხეშობისთვის დაუყოვნებლივ მინდვრიდან გაეძევებინათ.

ახლა კი, სტუმრად რომ ვეწვიე, ჩემი გაოცების ჯერიც დადგა: როცა ვკითხე, პირველი გოლი თუ გახსოვთ-მეთქი, არა, არ მახსოვსო, მიპასუხა.

პირველი გოლი! განა ფეხბურთელს შეიძლება პირველი გოლი არ ახსოვდეს? ყველას ახსოვს, ბარქაიას — არა. ასე და ამგვარად, საქმე თავიდანვე ამეწეწა, იმიტომ რომ, რაღა დავმალო, ინტერვიუს კარგა მოზრდილი ნაწილი წინასწარვე სწორედ ამ პირველ გოლზე მქონდა აგებული.

— როდის გავიტანე მე პირველი გოლი? — ჩამესმა უცებ გვარიანად შეფიქრიანებულს ბარქაიას ხმა.

● 1957 წლის 20 აგვისტოს, მოსკოვის „დინამოსთან", 42-ე წუთზე, — მაშინვე შევაგებე პასუხი.

**— კი, ეს თამაში მახსოვს. ისიც მახსოვს, ლოლობერიძეს მე ჩავაწოდე, გოლი რომ გაიტანა. ჩემი გოლი კი არ მახსოვს.**

● მერე, რომ იცოდეთ, ის გოლი მრავალმხრივ სიმბოლურიც იყო. ახლავე მოგახსენებთ, რატომ. ის პირველი ბურთი რომ გაიტანეთ, აგვისტო იყო და შემდგომაც საკავშირო ჩემპიონატებში ყველაზე მეტი (13) გოლი სწორედ აგვისტოში გაქვთ გატანილი. პირველი გოლი თქვენ მოსკოვში გაიტანეთ, მოსკოვის კლუბის კარში. შემდგომაც ყველაზე მაღალ შედეგს სწორედ მოსკოვის გუნდებთან აღწევდით. უფრო ზუსტად: 7 გოლი გაიტანეთ „სპარტაკთან" შეხვედრაში, 5 — „დინამოსთან", 4-4 — „ტორპედოსთან" და ცსკა-სთან, 3 — „ლოკომოტივთან", საკავშირო ჩემპიონატებში თქვენი გოლების მესამედი სწორედ მოსკოვის კლუბებთან შეხვედრებზე მოდის (23 გოლი — ხუთ გუნდთან, საშუალოდ 4,5 ბურთი ერთ გუნდზე), დანარჩენი 44 ბურთი 21 კლუბზე ნაწილდება (საშუალოდ 2 გოლი ერთ გუნდზე). თქვენი ორი გოლის წყალობით თბილისელებმა პირველად დაამარცხეს მოსკოვში თავიანთი იქაური თანაკლუბელები (2:1, 1959 წ.). საკავშირო ჩემპიონატებში თქვენ ერთხელ შეასრულეთ „ჰეთ-თრიკი" და ისიც მოსკოვში „სპარტაკთან", იმავე წელიწადს, როცა დინამოელებმა მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 5:4, თუმცა მატჩს აგებდნენ— 1:3. რით შეიძლება აიხსნას თქვენი ესოდენ დიდი „ინტერესი" მოსკოვის გუნდების მიმართ?

**— მატჩისთვის განწყობით. მე მუდამ მომწონდა ძლიერი გუნდების წინააღმდეგ თამაში, იმ პერიოდში კი მოსკოვის ყველა კლუბი ძლიერი იყო.**

● კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: პირველი გოლი თქვენ მეტოქის მინდორზე გაიტანეთ. შემდგომაც სტუმრად უფრო შედეგიანად თამაშობდით, ვიდრე შინ. ესეც უაღრესად იშვიათი ფაქტია.

**— საქმე ისაა, რომ ზოგიერთს ტრიბუნების მხარდაჭერა შთაგონებას და ძალას მატებს, მე კი თბილისში უფრო მიჭირდა თამაში. თბილისში ჩვენგან გამუდმებით მოგებას მოითხოვდნენ, მხოლოდ გამარჯვებას. ეს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის ტვირთი უთუოდ გავლენას ახდენდა ჩემს თამაშზე. სტუმრად კი უფრო თავისუფლად და, ალბათ ამიტომ, უფრო შედეგიანადაც ვთამაშობდი.**

● ჩემპიონატებში თქვენ საშუალოდ ოთხ მატჩში დაახლოებით ერთი გოლი გაგქონდათ. ცოტა ხომ არ არის ფორვარდისათვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმხანად ფეხბურთი უფრო შემტევიც გახლდათ და უფრო შედეგიანიც?

**— რასაკვირველია, მეტიც შეიძლებოდა, მაგრამ ჩემთვის მთავარი იყო არა პირადად ჩემი, არამედ, პირველ ყოვლისა, გუნდის გოლი. მე მომწონდა, სიამოვნებას მანიჭებდა მეტოქის კარის აღება, მაგრამ კიდევ უფრო კმაყოფილი ვიყავი, როცა ჩემი გადაცემით სხვას გაჰქონდა ბურთი. არ დაგავიწყდეთ, რომ მე ძირითადად მარჯვენა ინსაიდის ადგილზე ვთამაშობდი და პარტნიორებს უნდა დავხმარებოდი გოლის გატანაში. ჩემი მოვალეობა უმთავრესად თამაშის ორგანიზება იყო.**

**ახლა** კი, სანამ სტატისტიკოსის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვას მივცემდე ჩემს მასპინძელს, ერთ ამბავს გავიხსენებ. 1963 წლის 22 აგვისტოს დინამოელები თბილისში დონეცკის „შახტიორს" ხვდებოდნენ. მასპინძლები ერთი ბურთით აგებდნენ (0:1), მაგრამ თამაშის ბოლოს მთელი ძალა მოიკრიბეს და მეტოქეს ხელიდან გამოჰგლიჯეს გამარჯვება. შეხვედრის დამთავრებას ხუთი წუთი რომ აკლდა, ვლადიმერ ბარქაიამ ულამაზესი გოლით იხსნა თავისი გუნდი. ეს გოლი მე ჩემი თვალით ვნახე, ისევე როგორც მატჩზე მოსულმა 40 ათასმა მაყურებელმა. მერე ამ გოლზე კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა მთელი ქალაქი, გულშემატკივრები კიდევ დიდხანს ტკბებოდნენ მისი ყოველი დეტალის გახსენებით. მეორე დღეს „ლელომაც" დაწვრილებით აღწერა ბარქაიას გოლი. მაგრამ სერგეევმა „სოვეტსკი სპორტში" დაბეჭდილ ანგარიშში ეს ბურთი სლავა მეტრეველს მიაწერა და იმ დღიდან ასეც შეჰქონდათ ყველა ცნობარში. მიუხედავად ჩემი უდიდესი პატივისცემისა სლავა მეტრეველის მიმართ (ოდნავაც არ მეეჭვება, რომ იგი ყველაფერს სწორად გაიგებს), საჭიროდ მიმაჩნია შეცდომა გასწორდეს. და სწორედ ჭეშმარიტების დასადგენად ვკითხე ისევ ვლადიმერ ბარქაიას, ეს გოლი თუ გახსოვთ-მეთქი. გამოგიტყდებით, შიშით ვკითხე: დიდი იმედი არ მქონდა, რომ გაიხსენებდა.

**— როგორ არა, მშვენივრად მახსოვს, — გამოცოცხლდა უცებ ჩემი მასპინძელი. — მესხმა მძლავრად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და საჯარიმო მოედანს გადასცდა, მაგრამ მე ძირს დაშვება არ ვაცალე და კარის ზედა კუთხეში დავარტყი. ბურთი ბადეში გაეხვია თუ არა, იქვე მდგარმა სლავა მეტრეველმა ხელები გაშალა და გულში ჩამიკრა.**

მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ არ ახსოვდა პირველი გოლი: ვლადიმერ ბარქაია ესთეტია. ფეხბურთში მას, პირველ ყოვლისა, სილამაზე უყვარდა და ხიბლავდა. ჩვეულებრივი, რიგითი გოლი, თუნდაც იგი პირველი ყოფილიყო, მართლაც ადვილად შეიძლება დავიწყებოდა, მაგრამ ლამაზი პასის, ლამაზი გოლის (და არა მარტო თავისი გოლის) ან თუნდაც თამაშის რომელიმე ლამაზი ეპიზოდის დავიწყება არამც და არამც არ შეეძლო.

**— მატჩის ბოლო წუთებზე კი გივი ჩოხელმა მეორე გოლიც გაიტანა,** — განაგრძობს ჩემი მასპინძელი.

სწორია. ასე იყო. შევბით ამოვისუნთქე. მართალია, ცხრილში, რომელიც დღევანდელ წერილს ახლავს, ბარქაიას ის გოლი გათვალისწინებული არ არის (გამოგიტყდებით, მომერიდა საკითხის გადაწყვეტა ჩემზე ავტორიტეტულ სტატისტიკოსებთან შეუთანხმებლად), მაგრამ დარწმუნებული ვარ, შეცდომა მალე გამოსწორდება.

| | სულ | | საკ.მინ. | | სტუმრად | | ნეიტ. მინ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ. | გ. | თ. | გ. | თ. | გ. | თ. | გ. |
| **სსრ კავშირის პირველობა 1957-67** | 227 | 67 | 105 | 33 | 121 | 34 | 1 | 0 |
| **სსრ კავშირის თასი 1957-65** | 17 | 9 | 5 | 3 | 10 | 5 | 2 | 1 |
| **სსრ კავშირის ნაკრები 1965** | 2 | 2 | 2 | 2 | — | — | — | — |
| **საერთაშორისო შეხვედრები** | 51 | 27 | 18 | 6 | 33 | 21 | — | — |
| **სულ** | 297 | 105 | 130 | 44 | 164 | 60 | 3 | 1 |

**ბარქაიას** ჰკვიანური, ლამაზი, ხშირად მართლაც შთაგონებული თამაშის მნახველს არ შეიძლება არ გაჰკვირვებოდა, რომ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებს მისთვის რატომღაც დიდხანს არ მიუქცევიათ ყურადღება. მაგრამ აი, 1965 წლის 27 ივნისს იგი მაინც გამოვიდა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი დანიის ნაკრებთან. ვლადიმერ ბარქაიამ ბრწყინვალედ ითამაშა, ორი გოლი გაიტანა და დიდად შეუწყო ხელი გუნდის გამარჯვებას (6:0). აი, რას წერდა დანიელებთან მატჩის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ბორის არკადიევი: „ძალიან ბევრს და კვალიფიციურად „მუშაობდა" ვლადიმერ ბარქაია. ჩვენ იგი ვიხილეთ, როგორც წამომწყები, როგორც გამგრძელებელი, როგორც დამაგვირგვინებელი თავისი გუნდის იერიშებისა. ვლადიმერ ბარქაია მონაწილეობდა შეტევის სულ სხვადასხვა ფაზაში, რაც მის მაღალ კვალიფიკაციაზე, მისი თამაშის ფართო დიაპაზონსა და დიდ ენერგიაზე მეტყველებს". შემდეგ არკადიევი აღნიშნავდა, რომ ბარქაიამ თავისი წვლილი შეიტანა გუნდის თითქმის ყველა გოლის მომზადებაში.

● რა მიზეზი იყო, რომ ასეთი ქების მერე (სხვათა შორის, მარტო არკადიევი როდი გაქებდათ) საბოლოოდ მაინც ვერ მოიკიდეთ ფეხი ნაკრებში?

**— მიზეზი ალბათ ის იყო, რომ შემდეგ მატჩში — ბრაზილიელებთან — სუსტად ვითამაშე. შეხვედრა წავაგეთ — 0:3.**

● მაშინ ხომ მთელმა გუნდმა სუსტად ითამაშა. რამდენიმე ფეხბურთელმა, მათ შორის ვალერი ვორონინმაც, ამ მატჩის შემდეგ თქვენზე დაბალი შეფასება მიიღო, მაგრამ ისინი მაინც დატოვეს ნაკრებში.

**— გუნდის მაშინდელ მწვრთნელს ნიკოლაი მოროზოვს ჩემზე მეტად სხვები მოსწონდა. სხვათა შორის, მე და მოროზოვს არავითარი უთანხმოება არ გვქონია ერთმანეთში. არც რაიმე პრეტენზია გამომითქვამს. როცა მიმიწვიეს, სიამოვნებით ვთამაშობდი. რომ აღარ დავჭირდი, გული მეტკინა, მაგრამ რას იზამ — მწვრთნელმა უკეთ იცის თავისი საქმე.**

● პარტნიორებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

**— კარგი. მეგობრული. ხანდა ცხადია, ვკამათობდით კიდეც აზარტულად, ტემპერამენტიან ზოგჯერ ზედმეტადაც გავცხარე ბოდით, მაგრამ ჩვენი კამათის განი მუდამ ფეხბურთი იყო, ჩვენი საქმე, ჩვენი საყვარელი მაში. ეს შემოქმედებითი კამათი ხლდათ, რაც ჩვენს ურთიერთო არავითარ ზეგავლენას არ ახდე**

● მწვრთნელებზე რას გვეტყვ

**— ამ მხრივ ყოველთვის მწყ ობდა ბედი. მე მითამაშია გა ჭეჭელავას, ვასილი სოკოლოვს, დრო ჟორდანიას, ავთანდილ ღო ბერიძეს, მიხეილ იაკუშინს, რილ კაჩალინს, ალიოშა კოტრ ძეს, ვიაჩესლავ სოლოვიოვს ლმძღვანელობით. მათგან ვერც ვერ გამოვყოფ. თითოეულმა მა ანმა ბევრი რამ მომცა და დი დამეხმარა ფეხბურთის ღრმად გებაში, ხელი შეუწყო ჩემს ბურთელად ჩამოყალიბებას. მე წელიწადს ვთამაშობდი „დინა ში" და ამ ხნის მანძილზე მწვრთნელი გამოვიცვალეთ. თ განსაჯეთ, შეეძლო მათგან რომე მეს ესოდენ მოკლე დროში მთ ანად გამოევლინა თავისი ძალა, დმოეცა ჩვენთვის თავისი ცო და გამოცდილება, დაემკვიდრებ თავისი კონცეფციები? მწვრთნ ებს მეტად უნდა ვენდობოდეთ, და ვუქმნიდეთ პირობებს მშვ ნაყოფიერი მუშაობისთვის, არ უ ვაჩქარებდეთ. მათგან კი მარტო დეგს მოითხოვენ, თანაც რაც იძლება ჩქარა, დაუყოვნებლივ. შედეგმა ცოტა დააგვიანა, მწვ ნელს მაშინვე შეცვლიან.**

● მეტოქეების მიმართ როგ იყავით განწყობილი?

**— მეგობრულად. გამიგონია, გიერთი მოჭიდრაკე უკეთ თ შობს, როცა მეტოქეში თავის მტ ხედავსო. ჩემთვის გაუგებარი მეტოქეში მე მუდამ ამხანაგს დავდი, კოლეგას. რაც უფრო ძ ერი და ტექნიკური იყო მოწ ლმდეგე, მით უფრო საინტერ მიმაჩნდა მასთან თამაში. ძლიერ ხბურთელებთან და გუნდებთან ბრძოლველად მუდამ განსაკუ ბით მობილიზებული გამოვდი მინდორზე. დღესაც ვამაყობ, შევძელი ღირსეული მეტოქ გამეწია ფეხბურთის დიდი ოსტა იგორ ნეტოსთვის, როცა „სპარ კთან" მატჩში ჩემს სახელოვან**

### გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა

**ამას წინათ ბელგოროდში ჩატარდა 1969 წელს დაბადებულ კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელიც მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 40 წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივები ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველ-მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა ბრძოლა, ტრადიციისამებრ, ფინალში განაგრძეს.**

**ასპარეზობაში მონაწილეობდა საქართველოს „დინამოს" ორი გუნდი, რომელთაგან ერთმა წარმატებით ჩაატარა შეხვედრები და პირველი ადგილი დაისაკუთრა.**

**სურათზე: საკავშირო ასპარეზობაში გამარჯვებული „დინამოს" გუნდი და მისი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იწქირველი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო და ტექსტი.**

# ფეხბურთ

**ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ყოველ კალენდარულ მატჩს, იქნება ეს საკავშირო პირველობის თუ თასის გათამაშების, მსოფლიოს თუ ევროპის პირველობისა, აუცილებლად ესწრება ზემდგომი საფეხბურთო ინსტანციის ოფიციალური წარმომადგენელი, ე. წ. ინსპექტორი.**

კალენდარული მატჩების ყოველმხრივი შემოწმების ეს ეფექტური წესი ჩვენშიც დამკვიდრდა, ფეხბურთის მატჩებს, როგორც საქართველოს ჩემპიონატზე, ისე თასის გათამაშებაშიც, აუცილებლად ესწრებიან ინსპექტორები, რომელთაც მეტად საპასუხისმგებლო ფუნქციები აკისრიათ. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა შეიმუშავა და დაამტკიცა დებულება ინსპექტორთა უფლება-მოვალეობათა შესახებ. ამ დებულებას უნდა იცნობდნენ ჩვენს ქვეყანაში გამართული ყველა უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების ორგანიზატორნი.

ინსპექტორი სპორტკომიტეტს ფეხბურთის სამმართველოს და ფედერაციას წარუდგენს დაწვრილებით მოხსენებით ბარათს იმის თაობაზე, თუ რა ვითარებაში, რა პირობებში მიმდინარეობდა თამაში, როგორ მოემზადა სტადიონის დირექცია თამაშის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, აღნიშნავს დისციპლინის დარღვევის ფაქტებს, შეფასებას აძლევს მწვრთნელებისა და მოთამაშეთა საქციელს, მსაჯთა კვალიფიკაციასა და ობიექტურობას, შეესაბამებოდა თუ არა თამაში დაშვებულ ნორმებს, მას არ უნდა გამორჩეს არც ის, თუ როგორ იქცეოდნენ მაყურებლები, მოხდა თუ არა ტრიბუნებზე რაიმე დარღვევა. ინსპექტორი ყველაფერს ამას აღნიშნავს საგანგებო ოქმში.

მაგრამ, მატჩის ინსპექტორი არ არის მარტოოდენ გარეშე შემმოწმებელი, რევიზორი, ტრიბუნაზე მჯდარი ფორმალისტი, რომელსაც მხოლოდ შემჩნეული დარღვევებისა და შეცდომების ფიქსირება ევალება. პირიქით, ინსპექტორმა შეძლებისდაგვარად ყველაფერი უნდა გააკეთოს ნანახი შეცდომების გამოსასწორებლად. მის განკარგულებათა შესრულება სავალდებულოა როგორც თამაშის ორგანიზატორთათვის, ისე მატჩის ყველა მონაწილისთვისაც.

ინსპექტორის ინფორმაცია ჩატარებული შეჯიბრების შესახებ უნდა სრული და ამომწურავი იყოს, ვინაიდან ამ ინფორმაციით შემდგომში უნდა იხელმძღვანელონ ფეხბურთის სამმართველომ და ფედერაციამ.

ფეხბურთის მატჩების ინსპექტორებად ნიშნავენ ყველაზე გამოცდილ და კვალიფიციურ არბიტრებს, ფეხბურთის სპეციალისტებს, მწვრთნელებს, საზოგადოებრივ მუშაკებს, მათ, ვინც გამოირჩევა ობიექტურობითა და პრინციპულობით, ინსპექტორთა რეპუტაცია არ შეიძლება ეჭვს იწვევდეს, ისინი ზედმიწევნით უნდა ერკვეოდნენ თამაშის წესებში და მსაჯობის მეთოდიკაში, საერთო ორგანიზაციულ საკითხებში.

მატჩის ინსპექტორი თავის მოვალეობათა შესრულების პერიოდში შეჯიბრების ჩამტარებელი ორგ ების სრულუფლებიან წარმომა ნლად ითვლება და მხოლოდ ექვემდებარება. იმ სტადიონის სვეურნი, სადაც კალენდარული ტჩი ტარდება, ვალდებული ა ინსპექტორისთვის გამოჰყონ ციალური ადგილი, საიდანაც ყვ აზე უფრო მოსახერხებელია თ შისთვის თვალის დევნება, ეს გილი ახლოს უნდა იყოს სამ და ფეხბურთელთა გასახდელ ოთ ებთან. ინსპექტორს უფლება შევიდეს ყველგან, სადაც კი ს როდ მიიჩნევს. შეჯიბრებაში მ წილე გუნდების შემადგენლობე და მსაჯთა ბრიგადის წევრების რების გამოცხადების შემდეგ დიონის რადიოკვანძით აუცილ ად უნდა გამოცხადდეს ინსპექ რის ვინაობა, მისი წოდებები. გილობრივი სპორტკომიტეტ ხელმძღვანელებმა, ფეხბურთის დერაციებისა და მსაჯთა კოლე ბის წარმომადგენლებმა მატჩის

იბე და მოსკოველთა კა-
გოლი გავიტანე. მე, რა
ნდა, არ ვგულისხმობ იმ
თამაშეებს, რომელთაც ჩე-
რების მანძილზე საკმაოდ
ვარ. მათ შორის განსაკუ-
ამოვყოფდი კიშინიოველ
რომლის უხეშობა ბევრჯერ
ე საკუთარ თავზე.

დროს გქონიათ სურვილი,
ები გაგეცათ ასეთი მოთა-
თვის?

ლობდი თავი შემეკავე-
მცა ყოველთვის ვერ ვახე-
ებ კია, შურისძიების ფუ-
ნაირი შეიძლება იყოს. ერ-
სგალითად, კიევის „დინა-
ელებოდით. თვალში ამო-
რი ვოინოვმა — კიეველთა
ველმა. იმ პერიოდში ვო-

ᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲐᲠᲥᲐᲘᲐ ᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲚᲧᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲣᲠᲗᲘᲗ.

ერთ-ერთი უძლიერესი ნა-
ველი იყო მთელ საბჭოთა
, ქვეყნის ნაკრებში თამა-
ევროპის თასი მოიპოვა,
სიმბოლურ ნაკრებშიც შე-
ერთხელ მომცელა მოუ-
ად ამ შენმა ვოი-
და გამეცალა. მე წამოვ-
უსიტყვოდ გავაგრძელე
ავიხედო, ისევ არ მიტევს?
ავში ამასხა სისხლმა. შენ
-მეთქი? — გამწარებულმა
ვერ მიხვდა, რას ვეუბნე-
გას და გაოგნებული მიყუ-
აჯმა იფიქრა, აქ რაღაც ამ-
და მაშინვე მოვარდა. ახლა
უბრუნდი: მითხარით ერთი,
ვინ არის-მეთქი. როგორ თუ
, ვოინოვიაო, — ძლივს ამ-
მა დაბნეულმა. ვინ ვოი-
გვარი რაღაც არ გამი-
სინც ვინ არის, შარშან
გუნდში თამაშობდა-მეთქი?
ვოინოვი გამტკნარებული

იდგა. ის მატჩი ძლივს ითამაშა ბოლომდე.

● მსაჯები...

— ოჰ, ნეტავ ეგ არ გეკითხათ. მაგრამ, რაკი მეკითხებით, მეც გულახდილად გიპასუხებთ: მსაჯები არ მიყვარს. რა გაცინებთ. ვიცი, ახლა გაიხსენებთ, რამდენჯერ ვყოფილვარ გაძევებული მინდვრიდან. მაგრამ რისთვის მაძევებდნენ, თუ იცით? აბა მომისმინეთ. ხარკოვში თამაშის დროს მსაჯმა გრიგორიევმა გაფრთხილება მომცა. მეორე ტაიმის წინ, ჯერ კიდევ გვირაბში, სანამ მინდორზე გავიდოდით, ჩემთან მოვიდა და მეკითხება, მსაჯთა ოთახში რატომ არ შემოდით? კი მაგრამ, ვეთომ რატომ უნდა გდიო კუდში-მეთქი? ეს იყო და ეს. მაშინვე გამაძევა. თუმცა როგორ გამაძევებდა, როცა თამაში არც გვქონდა დაწყებული. — მინდორზე არ გამიშვა. ანდა კიდევ მეორე მაგალითს გეტყვით. კიშინიოვში გვქონდა მატჩი. ჩემს წინააღმდეგ ცინკლერი თამაშობდა. სისხლი გამიშრო, რას აღარ სჩადიოდა, ოღონდ კი საპასუხო უხეშობისთვის გავექეზებინე. არ ავყევი, თუმცა მიჭირდა კი. უცებ მომეპარა, ფეხებში მომარტყა და მაშინვე თვითონ გაიშალა მინდორზე. გორაობს ამ ბალახზე, ყვირის, ვითომ საშინელი ტკივილისგან იგრიხება. მოვარდა მსაჯი არხიპოვი, მეკითხება, რა მოხდაო. მე მხრები ავიჩეჩე, არ ვიცი-მეთქი. მაშინ საქმეში გვერდითი მსაჯი ჩაერია და არხიპოვი დაარწმუნა, რომ მე უხეშად მოვექეცი ცინკლერს. მსაჯმა მაშინვე მინდვრიდან გამაძევა. მატჩის შემდეგ მე და ჩვენი გუნდის უფროსი ავთანდილ ღოღობერიძე მივედით არხიპოვთან და ვცადეთ გაგვერკვია, მაინც რისთვის გამაძევა, მაგრამ პასუხი ვერ გამოვიტანეთ. რას გვიპასუხებდა? არადა, ამ სასჯელის გამო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ვერ ვითამაშე...

● მსაჯებზე გამწყრალ ფეხბურთელებს რომ ვუსმენ, სულ ვფიქრობ: არბიტრები მართლა ძალიან გულქვა ხალხი ყოფილა, თორემ ამ უცოდველ ანგელოზებს კაცმა როგორ უნდა აწყენინოს-მეთქი.

ჩემმა მასპინძელმა გულიანად გადაიხარხარა:

— მიგიხვდით, მიგიხვდით. არა, მე უცოდველ ანგელოზად არ მომაქვს თავი და თქვენს დასარწმუნებლად ერთ მაგალითსაც გავიხსენებ, როცა მართლა მეკუთვნოდა სასჯელი. თბილისში კიევის დინამოელებთან თამაშის დროს მართლა ვცადე ფიოდორ მედვიდისთვის ფეხებში მომერტყა (რატომ და რისთვის, ამაზე აღარ შევჩერდები—არ მინდა თავის მართლება გამომივიდეს). ვცადე, მაგრამ ვერ მოვახწარი. მსაჯმა ბიარმსმა მაშინვე გამაძევა მინდვრიდან და ეს სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება იყო.

შემდეგი შეკითხვა პრესასთან ურთიერთობას შეეხებოდა, მაგრამ ვლადიმერ ბარქაია ისე ცოცხლად, ისე გულწრფელად საუბრობდა ჩემთან —გაზეთის წარმომადგენელთან, რომ გადავწყვიტე ფორმულირება ცოტა შემეცვალა:

● ადევნებდით თვალს, რას წერდნენ თქვენს შესახებ?

— ყოველთვის. დიდი ყურადღებით.

● რა გავლენას ახდენდა თქვენზე პრესის შეფასება?

— აბა რა გითხრათ. თუ მეტისმეტად მაქებდნენ, უხერხულად ვგრძნობდი თავს. არაობიექტური თავდასხმები ან არაკვალიფიციურად დაწერილი რეცენზიები მაღიზიანებდა. ობიექტურ კრიტიკას კი მუდამ ინტერესით ვხვდებოდი — მიუდგომელი, მიუკერძოებელი შეფასება გაიძულებს ჩაუფიქრდე შენს თამაშს და საჭირო დასკვნები გამოიტანო. ჩემი აზრით, ობიექტურ კრიტიკას ბევრად მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე წრეგადასულ ხოტბას.

● შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე?

— ის დღე, როცა თბილისის „დინამოში" მიმიღეს.

● ყველაზე დიდი გულისტკივილი?

— წაგება მოსკოვის „ტორპედოსთან" 1960 წლის 30 ოქტომბერს, როცა მსაჯმა ცაპოვეცკიმ თასი წაგვართვა. დიახ, დიახ, წაგვართვა. ფინალურ მატჩში მის არაობიექტურ მსაჯობაზე მაშინ თითქმის ყველა გაზეთი წერდა, მათ შორის — „პრავდაც". ახლა რომ მკითხოთ, ისურვებდი თუ არა ცხოვრების თავიდან დაწყებასო, მე გიპასუხებთ: „რა თქმა უნდა, ოღონდ თუ ის 30 ოქტომბერი არ გამეორდება".

● თქვენი მატჩებიდან რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— შეხვედრა როსტოვში 1964 წელს. პირველ ტაიმში ადგილობრივ არმიელებთან ვაგებდით — 0:1, მაგრამ შევძელით თამაშში გარდატეხის შეტანა და მოვიგეთ. აქვე გავიხსენებდი კიდევ ორ მატჩს, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა ლაპარაკი. ეს გახლდათ შეხვედრები მოსკოვის გუნდებთან — „სპარტაკთან" და „დინამოსთან" 1959 წელს. მე მუდამ შედეგზე მაღლა ვაყენებდი შინაარსიან თამაშს, იმ მატჩებში კი ყველაფერი იყო: შინაარსიც, შედეგიც და ჩემი წვლილიც ამ შედეგის მოპოვებაში.

● ყველაზე მეტად რომელმა მატჩმა დაგწყვიტათ გული?

— თბილისის „დინამოს" ყველა წაგებულმა შეხვედრამ.

● გყავდათ კერპი ფეხბურთში?

— ბასა ღოღობერიძე, — როგორც ფეხბურთელი და როგორც კაცი. ის იყო ჩემი პარტნიორი მინდორზე, მწვრთნელი, გუნდის უფროსი, მაგრამ მუდამ რჩებოდა, პირველ ყოვლისა, მეგობრად, არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, თითოეული ჩვენგანისათვის.

● ყველაზე მეტად ვის წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?

— უხეშ მოთამაშეების წინააღმდეგ.

● მეკარეებიდან?

— მეკარეებიდან მე მაინც ლევ იაშინს დავასახელებ, თუმცა იგი ყველაზე მეტ გოლს თურმე თბილისელებთან შეხვედრებში უშვებდა. ვფიქრობ, ამას ჰქონდა თავისი მიზეზი, — ამ სიტყვებზე ჩემმა მასპინძელმა ეშმაკურად გაიღიმა, — იაშინს უყვარდა ლამაზი ფეხბურთი და როცა თბილისელთა ლამაზ, სანახაობრივად მიმზიდველ, ტექნიკურ თამაშს ხედავდა, ეტყობა, იმდენად იხიბლებოდა, თავისი ძირითადი მოვალეობა ავიწყდებოდა კიდეც.

● მეტოქე გუნდებიდან რომელი იყო თქვენთვის ყველაზე „რთული"?

— „შახტიორი". ეს გახლ[illegible] ბისყოფიანი, მე ვიტყოდი, [illegible] ცოტა უხეში გუნდი. მეშახტეებთან თამაში განსაკუთრებით ძნელი იყო დონეცკში, სადაც ისინი არც საკუთარ თავს ზოგავდნენ, არც მეტოქეებს.

...მცირე პაუზის შემდეგ ჩვენ ისევ დავუბრუნდით დაწყებულ საუბარს.

● კიდევ რა არ მიკითხავს თქვენთვის?

— რატომ არ მეკითხებით, რაზე ვოცნებობ? — ღიმილით მომიგო ვლადიმერმა.

● მართლაც, ფეხბურთის ყველა გულშემატკივრისთვის საინტერესო იქნება იცოდეს, რაზე ოცნებობს ვლადიმერ ბარქაია.

— რაზე და, მე მინდა საქართველოს ჰყავდეს ისეთი გუნდი, როგორიც იყო თბილისის „დინამო" 1964 წელს. არ ვიცი, როგორ მიიღებენ ამ სიტყვებს, მაგრამ ჩემი აზრი ასეთი გახლავთ: მაშინდელი „დინამო" მსოფლიოში საუკეთესო გუნდი იყო, იმიტომ რომ ამ გუნდში თამაშობდნენ შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ბარქაია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და ბევრი სხვა. ამ გუნდში თამაშობდნენ ბრწყინვალე ოსტატები, კაშკაშა ნიჭით გამორჩეული ფეხბურთელები. მეტრეველის თამაში ნამდვილი სიმფონია იყო; მესხის თამაში — ესტრადა, ზოგჯერ, თუ გნებავთ, — ცირკიც. ხშირად ვუყურებდი და ცქერით ვერ ვძღებოდი. ეს იყო მეგობრული, ერთი სულისკვეთების გუნდი, რომელსაც ვერა მეტოქე ვერ აშინებდა, რომელსაც ვერავითარი რთული პირობები და ვითარება ვერ აბნევდა, მამაცი, მტკიცე ნებისყოფის გუნდი იყო...

ის დღე გაგრაში გავატარე ჩემი კეთილმოსურნე, ტაქტიანი, დელიკატური მასპინძლის გვერდით. მომხიბლა მისმა საუბარმა, ფეხბურთის ღრმა ცოდნამ, ფეხბურთისადმი განუზომელმა სიყვარულმა: მე მომხიბლა, თუ გნებავთ, მისმა სიფიცხემ და შეურიგებელმა კილომაც, როცა სიტყვა ფეხბურთის — მისთვის ესოდენ ძვირფასი თამაშის ხელშემშლელ მიზეზებზე ჩამოვარდა.

ამ ღრმად მოაზროვნე, დახვეწილ, დროდადრო ირონიაში გარდამავალი იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ კაცს შეუძლია ერთნაირად საინტერესოდ გესაუბროთ მედიცინაზე და ასტრონომიაზე, ისტორიაზე და მიწისმიღმიერ ცივილიზაციებზე, სვეტონიუსსა და აითმატოვზე, პიკასოზე და ევტუშენკოზე...

არის დღე კაცის ცხოვრებაში, სიცოცხლის დასასრულამდე წარუშლელად რომ შემორჩება მეხსიერებას. გაგრაში გატარებული ის ერთი დღე ჩემთვის მუდამ ასეთ გაუხუნარ მოგონებად დარჩება.

**ᲐᲥᲡᲔᲚ ᲗᲑᲘᲚᲔᲚᲘ.**

---

# ᲐᲢᲩᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ყოველნაირი დახმარება
მოუჩინონ თავისი მოვალ-
სრულებაში.

ც ითქვა, ინსპექტორი მა-
ნ შემმოწმებელი როდია,
ეცადოს თავისი წვლილი
საბჭოთა ფეხბურთის აღ-
საქმეში, გადაჭრით იბ-
ყოველგვარ ნეგატიურ
თა წინააღმდეგ, ოპერატი-
ა მართებულად გადაჭრას
სადავო საკითხი, რაც
რის წამოიჭრება, მაქსიმა-
ახმარება გაუწიოს ადგილ-
ორგანიზატორებს თამაშის
დონეზე ჩატარებაში, და
მაყურებელთა მომსახურ-
თამაშის დამთავრების შემ-
ვალდებულია დაწვრილე-
ფორმაცია მიაწოდოს შე-
ჩამტარებელ ორგანოებს.
ინსპექტორი აფასებს 5-
სისტემით, აღნიშნავს გა-
გოლებს, მოთამაშეთა გა-
ან გაფრთხილების ყოველ
ას, დანაშაულის ხასიათს,
მიუთითებს იყო თუ არა
ტი თამაშის დროს ან მისი
ების შემდეგ.
ტორმა საგანგებოდ უნდა
თუ როგორ მიიღეს ად-
ემა ორგანიზაციებმა ჩა-
. გუნდი, მსაჯები, შეაფასოს
ის (სათამაშო მინდორი, სა-
ოახი, სამედიცინო პუნქტი,
ანძი, გასახდელი ოთახები,
ბი და ა. შ.)

ინსპექტორს უფლება აქვს ადგილობრივი სპორტკომიტეტების, ფეხბურთის ფედერაციებისა და მსაჯთა კოლეგიების წარმომადგენლებს, სტადიონების დირექციებს მოთხოვოს დაუყოვნებლივ გამოასწოროს შემჩნეული ნაკლოვანებები, რათა თამაშმა ნორმალურ, ობიექტური მსაჯობის ვითარებაში ჩაიაროს.

ინსპექტორს უფლება აქვს მსაჯებთან გამოარკვიოს და დააზუსტოს თამაშის დროს მომხდარი ინციდენტის დეტალები, დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოთხოვოს მათ, გამოარკვიოს თუ რის საფუძველზე გამოიტანა ესა თუ ის გადაწყვეტილება.

თამაშის დაწყების წინ ინსპექტორს შეუძლია შევიდეს ორივე გუნდის გასახდელ ოთახებში, ესაუბროს მწვრთნელებს ან უშუალოდ ფეხბურთელებს, მისცეს მათ სათანადო რჩევა-დარიგება და რეკომენდაციები, ანდა გამოიძახოს ისინი სამსაჯო ოთახში საუბრისთვის, შეუძლია წინასწარ გააფრთხილოს უდისციპლინობაში ადრე შემჩნეული მოთამაშეები და ამ პროფილაქტიკური საშუალებებით თავიდან აიცილოს მოსალოდნელი უსიამოვნება.

როგორც ხედავთ, ფეხბურთის კალენდარული მატჩის ინსპექტორს დიდი უფლებები აქვს, მას შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს საფეხბურთო შეჯიბრებათა მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში.

---

# ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲡ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ...

**ᲮᲐᲨᲣᲠᲘ.** სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა პირად-გუნდური რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნორჩი მოჭიდავეები (1969-1970 წლებში დაბადებულნი). თავიანთ საუკეთესო სპორტსმენებით წარსდგნენ: „ბურევესტნიკი", „განთიადი", „სპარტაკი", „დინამო", „შრომითი რეზერვები", „ლოკომოტივი" და „კოლმეურნე". პირველი ადგილისათვის სულ 130-ზე მეტი ჭაბუკი მოჭიდავე იბრძოდა.

შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული ახალგაზრდები, პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ზ. ბახტაძე, ვ. ბაისონაშვილი, მ. მამულაშვილი (ყველა — „კოლმეურნე").

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: დ. ბედოშვილმა, („სპარტაკი"), ზ. ბახტაძემ („კოლმეურნე"), პ. აზალაძემ („ბურევესტნიკი"), მ. მამულაშვილმა („კოლმეურნე"), ზ. ჭოხურიძემ („სპარტაკი"), ა. ოსკანოვმა („შრომითი რეზერვები"); მ. ლობჟანიძემ („ლოკომოტივი"), ვ. კანვოაშვილმა („კოლმეურნე").

გუნდური გამარჯვება „კოლმეურნეს" ხვდა, მომდევნო ადგილებზე „სპარტაკისა" და „განთიადის" მოჭიდავეები გავიდნენ.

**ᲛᲪᲮᲔᲗᲐ.** აქ ჩატარდა ანალოგიური ტურნირი 16-17 წლის ჭაბუკთა მონაწილეობით. ბრძოლა პირველობისათვის, როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში, უაღრესად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მოჭიდავეთა უმრავლესობამ კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. მეურმიშვილმა („კოლმეურნე"), რ. სეფაშვილმა („ზენიტი"), ა. აბუაშვილმა, ზ. ლალიაშვილმა (ორივე — „კოლმეურნე"), გ. მინტურმა, („ბურევესტნიკი"), გ. ქარჩაიძემ, რ. თანდიაშვილმა (ორივე — „ლოკომოტივი"), ვ. კაპანაძემ („ზენიტი").

გუნდური ადგილები: 1. „კოლმეურნე", 2. „ბურევესტნიკი", 3. „ზენიტი".

**ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ.**

---

# ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲗᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗ

**ᲕᲐᲙᲘᲡ.** მძლეოსნობის მანეჟში დამთავრდა ქალთა შეჯიბრება მშვილდოსნობაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის. სრულდებოდა მ-1 ვარჯიში. პირველი დღიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო საქართველოს ნაკრები გუნდის წევრმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ლია მაჩაბლიშვილმა. უპირატესობა მან ბოლომდე შეინარჩუნა და საბოლოოდ 1267 ქულით სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მან უახლოეს მეტოქეს 151 ქულით გაუსწრო. 1116 ქულით მეორე შედეგი აჩვენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა მაია ხუბაშვილმა. მესამე ადგილი ერგო ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს ნინო მიქანაძეს — 1031 ქულა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (3112 ქულა). მეორე ადგილი წილად ხვდათ სახელმწიფო უნივერსიტეტის მშვილდოსნებს (2847), მესამე ადგილზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები (2494).

**ᲑᲘᲭᲘᲙᲝ ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# დაიხსომეთ ეს გვარი

(დასასრული)

სატრანშეო სტენდზე სროლას თავისი კანონები აქვს, მრგვალ სტენდზე სროლას — თავისი. სპორტსმენის მთავარი ღირსება აქაც და იქაც, რა თქმა უნდა, თვალის ზომაა, მაგრამ არის სხვა ნიუანსებიც, რისთვისაც სატრანშეო სტენდზე წარმატებას სპეციალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

**● რაში გამოიხატება, არჩილ, ეს სირთულეები?**

— სამიზნეს ჩვენ სამი მიმართულებიდან ვიღებთ, ოღონდ ისე, რომ არ ვიცით საიდან ამოფრინდება იგი. სპორტსმენი ყურადღებად უნდა იყოს გადაქცეული, ფრენის მიმართულება რომ არ გამოეპაროს. წამითაც რომ დააყოვნო, ვერც სისწრაფე გიშველის და ვერც თვალის ზომა.

**● მერე და რამდენ ხანს ხართ ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში?**

— ბოლომდე, სანამ ვისვრით, სანამ სამიზნე გამოგველევა, სანამ ბოლო თეფშს არ დავამსხვრევთ.

**● თქვენის აზრით რა თვისებით უნდა იყოს გამორჩეული მესტენდურე?**

— თვალის ზომაზე არაფერს ვამბობ — ამის შეძენა შეუძლებელია, უამისოდ ამ სპორტში ვარჯიშს აზრი არა აქვს. ყურადღების კონცენტრაციის უნარი კი წარმატების უდავო პირობაა.

**● ფიზიკური მომზადება?**

— წარმოიდგინეთ, რომ ზოგჯერ სროლა მთელი დღის განმავლობაში გვიხდება. ცხადია, კარგი ფიზიკური მომზადების გარეშე სტენდზე დიდხანს ვერ გაძლებ. თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენთან მაინც ნერვულ სისტემას ენიჭება. ფიზიკურად მსროლელი შეიძლება კარგადაც მოემზადოს, მაგრამ თუ ნერვები არა აქვს წესრიგში, საბოლოოდ მაინც წააგებს საქმეს.

არჩილ საბედაშვილი ზედმიწევნით ზრდილი და სათნო ყმაწვილია, მის ყოველ სიტყვას ჭკვიანი კაცის ბეჭედი აზის. გრძნობ, რომ იმაზე, რაზეც აზრს გამოთქვამს, ბევრი უფიქრია. სატრანშეო სტენდის თავისებურებებზე საუბრისას ერთი კარგი მაგალითი მოიყვანა:

ნებისმიერი სტარტი სპორტში ნერვული და ემოციური მარაგის გარკვეულ ხარჯვას მოითხოვს. მძლეოსანი, მაგალითად, შეჯიბრების მანძილზე სამჯერ ან ოთხჯერ იღებს სტარტს (წინასწარ გარბენი, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი), მესტენდურე კი, არც მეტი, არც ნაკლები, ორასჯერ, ვინაიდან, ყოველი გასროლა, თავისთავად უკვე სტარტია, მისთვის დამახასიათებელი დაძაბულობით და ნერვულობით.

განსაკუთრებით მძიმე პერიოდი შეჯიბრების მესამე დღეს დგება, პირველი 150 გასროლის შემდეგ. აქ დაშვებული შეცდომის გამოსწორება, ფაქტიურად შეუძლებელია. იგი საბოლოოდ განსაზღვრავს სროლის შედეგს. ამიტომაც არის, რომ ბოლო სერიებში სპორტსმენის მაჯისცემა კრიტიკულ ზღვარს აღწევს, გულს ბაგაბუგი გააქვს და ყურადღების მოკრება უაღრესად ძნელი ხდება.

— ოდესაში გამართულ შეიარაღებულ ძალთა საკავშირო ჩემპიონატზე პირველ დღეს სამოცდათხუთმეტი სროლიდან სამი მიზანს დავაცილე. კიდევ კარგი, რომ ეს პირველ დღეს მოხდა და შემეძლო დაკარგულის ანაზღაურება. მეორე დღეს აბსოლუტური შედეგი მქონდა, მესამე დღეს კი ორმოცდაათიდან ორმოცდაცხრა სამიზნე დავამსხვრიე. საბოლოოდ დამიგროვდა 196 ქულა, ზუსტად იმდენი, რამდენიც საკმარისი იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესასრულებლად.

**● სროლის პროცესში თუ გრძნობთ „მეტოქის სუნთქვას"?**

— ცეცხლის ხაზზე გასვლის შემდეგ მეტოქე ჩემთვის არ არსებობს; მხოლოდ საკუთარ თავს ვებრძვი და ვცდილობ არ ავყვე ემოციებს. მოწინააღმდეგე მერე მახსენდება, როცა უკვე შედეგების შეჯამების დრო დგება.

**● რას უსურვებდით არჩილ საბედაშვილს?**

— სტაბილურობა მსროლელისათვის წლებს მოაქვს, ამიტომ სჯობს მოთმინება ვიქონიოთ.

არჩილ საბედაშვილი ამჟამად ფრუნზეშია. მარტის ბოლო რიცხვებში ყირგიზეთის დედაქალაქში საკავშირო თასის გათამაშება იწყება და იქ ემზადება. საკავშირო ჭაბუკთა თამაშები მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოცდა იქნება, მერე კი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრს ევროპის ჩემპიონატში მოუწევს გამოსვლა.

დავუჯეროთ სპეციალისტებს, როცა გვირჩევენ: დაიხსომეთ ეს გვარი!

# გადაწყდა: მონტე-კარლოში

**პორტუგალიის** დედაქალაქ ლისაბონში გაიმართა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის კონგრესი, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო ევროპის „სუპერთასის" გათამაშებათა შესახებ. ამ პრიზისთვის, როგორც ცნობილია, იბრძვიან ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი და ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული. ამ მეტად პრესტიჟულ საკლუბო ტურნირებში გამარჯვებულნი ამიერიდან სისტემატურად ითამაშებენ ერთ მატჩში, რომელიც მუდმივად გაიმართება ერთი და იგივე ადგილზე — მონაკოს ქალაქ მონტე-კარლოში.

უეფა-ს აღმასკომმა, გარდა ამისა, დაამტკიცა ამ ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტის არტემიო ფრანკის თასის გათამაშების დებულება. ეს მეტად საინტერესო შეჯიბრება გაიმართება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, ერთმანეთს შეხვდებიან ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა წოდების მფლობელი ეროვნული ნაკრები გუნდები.

ეს იდეა — საგანგებო პრიზისათვის სისტემატურად შეხვედროდნენ ერთმანეთს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის უძლიერესი ეროვნული ნაკრები გუნდები, დიდი ხნის წინ წამოიჭრა საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში და, როგორც ხედავთ, ახლა იგი განხორციელების ფაზაშია: არტემიო ფრანკის სახელობის პრიზის პირველი ასეთი ოფიციალური მატჩი წლეულს 21 აგვისტოს გაიმართება საფრანგეთისა და ურუგვაის ნაკრებ გუნდებს შორის. იგი პარიზში ან მარსელში შედგება.

## ინფორმაცია

**გუშინწინ** დაიწყო ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

ვილნიუსის მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „სპარტაკი" — „ავტომობილისტი" (ორივე — კიევი) 23:18 (13:11), ზიი (ზაპოროჟიე) — უპი (სვერდლოვსკი) 21:20 (12:14), „აზოტი" (ნევინომისკი) — „ეგლე" (ვილნიუსი) 29:23 (14:12).

სხვა გუნდები კრასნოდარში ასპარეზობენ. იქ თამაშები ასე დამთავრდა: „ავტომობილისტი" (ბაქო) — „ლუჩი" (მოსკოვი) 18:16 (10:7), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 21:23 (13:14), „სელხოზტექნიკა" (კრასნოდარი) — „პლამია" (ბროვარი) 22:20 (10:10).

**უკრაინის** დედაქალაქ კიევში მეცხრედ აიღო სტარტი რაპირისტ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონ ვ. სმირნოვის ხსოვნას ეძღვნება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ გდრ-ის, უნგრეთის, კუბის, რუმინეთის, პოლონეთისა და სსრ კავშირის უძლიერესი სპორტსმენები. სსრ კავშირის ნაკრებს მეთაურობს ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრ რომანკოვი, პოლონეთისას — ცნობილი რაპირისტი ბოგუსლავ ზიხ

**1954 წლის 4 ივლისს დასავლეთ გერმანიის რადიოს უკანასკნელი ცნობების გამოშვებებში წამდაუწუმ გაისმოდა შეძახილი: „ტონი, შენ ფეხბურთის ღმერთი ხარ". იმ დღეს ბერნის „ვანკდორფის" სტადიონზე გფრ-ის ნაკრებმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა. დასავლეთგერმანელებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში დაამარცხეს ოქროს მედლების მთავარი პრეტენდენტი, უნგრეთის „დიდი გუნდი".**

# ტონი ტურეკი: „დამნაშავეა ჰერბერგერი"

სხვა ფეხბურთელებისაგან განსხვავებით, გფრ-ის ნაკრების მეკარის ტონი ტურეკისათვის ეს თამაში ერთ დროს მხოლოდ გასართობი იყო. „ერთადერთი, რამაც ნაცისტთა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მოხვედრისაგან მიხსნა, ფეხბურთი იყო. სპორტში ინტენსიური ვარჯიშის გამო სხვა რამისთვის აღარ მეცალა", — იგონებდა დუისბურგელი მუშის შვილი ტონი ტურეკი, რომელიც გფრ-ის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ზეპ ჰერბერგერმა პირველად 30 წლისა მიიწვია ეროვნულ ნაკრებში. სანამ ტურეკზე შეაჩერებდა არჩევანს, ჰერბერგერმა ორმოცამდე მეკარე გამოსცადა. როგორც ჩანს, ულმის გუნდის დინჯმა და უშიშარმა მეკარემ მწვრთნელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თავად ტურეკი ამბობდა: „ჩემი კერპი იყო ოციანი წლების ცნობილი გერმანელი მეკარე ჰაინერ შტულფაუტი. მისი არ იყოს, არც მე მინდოდა გარეგნულ ეფექტებზე თამაში. თუკი შევამჩნევდი, რომ ბურთს ველარ ვწვდებოდი, თითსაც არ გავანძრევდი".

აი, რა თქვა ტურეკმა მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატზე: „თავიდან პირველ რვა გუნდს შორის მოხვედრაზე ვოცნებობდით. შემდეგ, როცა ნახევარფინალში გავედით, ბრინჯაოს მედლებზეც ყაბულს ვიყავით, ფინალში კი მხოლოდ ვერცხლზე ვფიქრობდით". საინტერესოა, რომ თავისი გუნდის წარმატებას ტურეკი სწორედ ამ გარემოებით ხსნიდა. „ფინალში სრულიად შეუბოჭავად ვთამაშობდით. ამ მხრივ ჩვენ უნგრელებზე უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით: მათგან ხომ მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ. ქვეჯგუფში უნგრელებმა სასტიკად დაგვამარცხეს — 8:3. ისინი ფინალშიც უდავო ფავორიტებად ითვლებოდნენ".

უნგრელებთან წაგებულ მატჩში გფრ-ის ნაკრების კარს კვიატკოვსკი იცავდა, ტურეკი კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ჰერბერგერმა წინასწარვე განსაზღვრა, რომ უნგრელებთან ჯერჯერობით ვერაფერს გახდებოდა. მთავარი იყო სხვა გუნდების დამარცხება. ჰერბერგერის გეგმა, როგორც ცნობილია, სწორი გამოდგა.

უნგრელთა ბრწყინვალე გუნდის დამარცხებაში ერთ-ერთ მთავარ „დამნაშავედ" ტურეკი სწორედ ზეპ ჰერბერგერს მიიჩნევს.

„ფინალური მატჩის დაწყებამდე ჰერბერგერმა ნახევრად ხუმრობით გვითხრა, ეცადეთ, პირველ ტაიმში ორ გოლზე მეტი არ გაუშვათო. თუკი უნგრელებმა მეტი გაიტანეს, მატჩი წაგებულია, ორი გოლი კი ჩვენს მოწინააღმდეგეს დაამშვიდებსო", — იხსენებს იგი. ფინალური შეხვედრა ზუსტად ისე დაიწყო, როგორც ჰერბერგერი და გუნდის თითოეული წევრი ელოდნენ. ექვსი წუთიც არ იყო გასული, რომ პუშკაშმა პირველი გოლი გაიტანა. მეორე გოლი კი კოლმაიერის უხეირო პასს მოჰყვა — ტურეკისგან ბურთი პირდაპირ უნგრელ ციბორისკენ გაგორდა. „რა დამავიწყებს ვალტერისა და შეფერის იმ გამოხედვას. საერთოდ, ბურთის გაშვებას მაინცდამაინც არ განვიცდიდი, მაგრამ ამ გოლმა ძალიან დამწყვიტა გული".

უნგრელთა მარცხის მეორე მიზეზად ტურეკს ფინალის დღეს მოსული წვიმა მიაჩნია. „უნგრელები ბურთს ბრწყინვალედ ფლობდნენ. სველ ბალახზე კი ამ ოსტატობის გამოჩენა შეუძლებელი იყო. ჩემი აზრით, შეცდომა იყო მატჩში დაშავებული პუშკაშის გამოყვანა. მან ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობანი".

ტურეკს არაერთხელ ულაპარაკია იმ განსხვავებაზე, რაც მსოფლიოს მაშინდელ და ახლანდელ ჩემპიონატებს შორის არსებობს. „გამარჯვების შემდეგ ცოლებთან ერთად შამპანურის ბოთლს მივუსხედით. ფულზე არავინ ლაპარაკობდა, არც ველოდით რაიმე გასამრჯელოს. მოგვიანებით თითოეულმა ჩვენგანმა საჩუქრად 1800 მარკა მიიღო. ჩემპიონატის შემდეგ სამხრეთ ამერიკის რამდენიმე კლუბმა ხელსაყრელი კონტრაქტები შემომთავაზა. მპირდებოდნენ გვარიან წლიურ შემოსავალს, ბენზინის გასამართ სადგურსა და სასტუმროს. დათანხმება არც მიფიქრია".

**მასალა მოამზადა
მალხაზ რადიანმა.**



## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 24 მარტი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.30** (2); „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20** (1); საერთაშორისო შეჯიბრება ფარიკაობაში „კიევის რაპირა" — **17.35** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. „მეტალისტი" — „ტორპედო" (მოსკოვი) — **18.00** (2); სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალი ბურთიან ჰოკეიში — **20.15** (2); ფრენბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ვაჟები. „ავტომობილისტი" — „დინამო" (მოსკოვის ოლქი) — **21.15** (2); საფეხბურთო მიმოხილვა — **24.00** (1).

**საკავშირო რადიო. 24 მარტი.** სპორტული დღიური — **23.40.**

**საქართველოს ტელევიზია. 24 მარტი.** სპორტული პროგრამა — „ევროპის სტადიონებზე" — **22.35.**

**საქართველოს რადიო. 24 მარტი.** „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი — **14.30** (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ტორპედო" (ქუთაისი). II ტაიმი — **20.30** (1); სპორტის მოყვარულთათვის — **19.30** (რადიოსადგური „მთაწმინდა").

## კალეიდოსკოპი

### ფრანგული ტოტალიზატორი

მიმდინარე სეზონში საფრანგეთში ოფიციალურად გაიხსნება სპორტული ტოტალიზატორი. მოგება მთლიანად სპორტის განვითარებას მოხმარდება. ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი რა გზას აირჩევენ ორგანიზატორები. ცნობილია, რომ ტოტალიზატორი მოეწყობა სპორტის პოპულარულ სახეობებში, კერძოდ ფეხბურთში, ველოსპორტში, კალათბურთში, ჩოგბურთსა და, რა თქმა უნდა, რეგბიში.

### დროებითი ზავი

27 წლის ნორვეგიელ მოთხილამურეს ანეტ ბუს საკმაოდ ჭირვეული ხასიათი აქვს. სარაევოს ოლიმპიური თამაშების წინ იგი წაეჩხუბა მწვრთნელებს და... ნაკრებში ადგილი დაკარგა. ეჭვს იწვევდა მისი კანდიდატურა (ისევ და ისევ ხასიათის გამო) ზეფელდის მსოფლიო ჩემპიონატის წინაც, მაგრამ პრესის აქტიური ჩარევის შედეგად მოქიშპეთა შორის დროებით ზავი დამყარდა. მოიგო ორივე მხარემ. ნორვეგიის მწვრთნელთა აქციები ზეფელდის შემდეგ ერთიორად გაიზარდა, ანეტ ბუმ კი შინ ორი უმაღლესი ჯილდო წაიღო.

### ენკე დაუბრუნდება სპორტს

ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონს, მოციგურავე კარინ კანია ენკეს შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც საშა დაარქვა. ახალგაზრდა დედამ მომჯობინებისთანავე საციგურაო სტადიონს მიაშურა. გაზეთ „იუნგე ველტის" კორესპონდენტთან საუბარში კარინმა განაცხადა: „ვარჯიშს დავიწყებ და დარწმუნებული ვარ, სპორტულ ფორმას მალე აღვიდგენ".

კარინ კანია ენკეს გადაწყვეტილი აქვს თავის ქვეყანას ძველი ავტორიტეტი დაუბრუნოს. გდრ-ის მოციგურავეებზე, — განაცხადა მან, — კიდევ ბევრს ილაპარაკებენ მსოფლიოში.

**რედაქტორი ა. გოგაველი.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. № 14**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"**

**რედაქციის ტელეფონები:**
**ხამდივნო — 93-97-59**
**წერილების განყოფილება — 93-97-55**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-48**
**„მარაფონი" — 93-97-27, „ფერაზი" — 93-97-26**

**ჩვენი ინდექსი 68425**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. ეე 08509